

დრ. ბუჩუკის გიქმ

ადაიას

უზღებდა







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1595
ჯიზის წიგნები:142

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
ულურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/28

ISBN: 978-605-7519-41-2

2019-06-Y-0003-1595

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

ადამიანის უფლებები



დო. ბუჩუაძის ენიქუმ



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

I- ადამიანის ფუნდამენტური უფლებები • 12

1- სიცოცხლის უფლება • 13

2- თავისუფლების უფლება • 18

3- სინდისის დაცვის უფლება • 23

4- საკუთრება და საკუთრების დაცვის უფლება • 24

5- წამებისგან დაცვის უფლება • 26

6- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა • 27

7- გადაადგილების, მოგზაურობის, საცხოვრებლად
დამკვიდრების უფლება • 40

8- რელიგიისა და სინდისის თავისუფლება • 41

9- გამოსატვის თავისუფლება • 47

10- განათლების მიღების თავისუფლება • 49

11- შრომის უფლება • 53

II- უფლებების გამოყენება და შეზღუდვა • 56

და ბოლოს, • 58

წინასწარმეტყველება

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვაღდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოდათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოდა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვაღდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შექლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვეველობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშილი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვეველობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რაღაც ფორმით, გაურკვეველობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარებლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გადრმაგება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავენერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქოთერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევები, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და

ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოდლოთ.

შესავალი

ჩვენი სარწმუნოება ისლამი, ადამიანს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და გვასწავლის, რომ ადამიანი სრულქმნილი და ამაღლებული არსებია.

„და ვფიცავ, ჩვენ აღმატებულ ვჰქმენით ადამის შვილნი და მივეციით საშუალება ემოგზაურათ ზღვასა და ხმელეთზე. ჩვენ ვუწყალობეთ მათ სიკეთენი და უპირატესვჰყავით ისინი სხვა მრავალ ჩვენს გაჩენილებთან შედარებით!“ ისრა 70

გარდა ამისა, ისლამი ანიჭებს ადამიანს ფუნდამენტურ უფლებებს და იცავს მათ. ეს უფლებებია: სიცოცხლის უფლება, აღმსარებლობის არჩევის და შესაბამისად მოქცევის უფლება, საკუთრების უფლება, გადაადგილების უფლება, ფსიქიკური და ფიზიკური უსაფრთხოების უფლება და სხვ. ისლამის მიხედვით ადამიანებისთვის, ყველა ეს უფლება საერთო და დაცულია. ამ უფლებების მოპოვებისათვის საკმარისია ადამიანად დაბადება, პიროვნების წარმომავლობას, ეთნიკურ კუთვნილებას, სქესს, წოდებას და მდგომარეობას მნიშვნელობა არ ენიჭება.

წმ. ადამიდან მოყოლებული ყველა ზეციური რელიგიის სწავლებაში საერთო ხაზი

სწორედ ეს უფლებებია, რომლებიც დღეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებების სახითაა ცნობილი და რომლებსაც ადამიანი დაბადებისთანავე იძენს. ყველა ამ უფლების დაცვა ზეციური რელიგიების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს. ამ უფლებების წინააღმდეგ უსამართლოდ წარმოებული ბრძოლა ხშირად იცვლიდა სახეს და ფორმას და შესაბამისად ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში ამ თვალსაზრისით რეფორმები ხორციელდებოდა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიულად ყველა ეს უფლება დაცულია, მაგრამ პრაქტიკულად ამ უფლებების უხეშ დარღვევის უამრავი მაგალითი არსებობს და ისინი, ხშირად ქაღალდზეა დარჩენილი.

იმ დროში, როცა საზოგადოების კლასობრივი დაყოფა მისაღები იყო და ადამიანებს ეთნიკური კუთვნილების, გვარიშვილობის, კანის ფერის და მსგავსი ფაქტორების გამო განასხვავებდნენ, ისლამმა შემოიტანა ახალი ურთიერთობები და ადამიანის უფლებების დაცვის სისტემა, რომელიც დღესაც უალტერნატივო და უბადლოა. ადამიანს თავისი ღირსების შესაფერისი ცხოვრების უფლება დაბადებიდან ენიჭება, მაგრამ მოგვიანებით მის ცხოვრებაში შემოდის სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა სიმდიდრე, წოდება, მდგომარეობა, ავტორიტეტი და სხვა. ამ პროცესში ადამიანი უფრო და უფრო

შორდება მაღალ ღირებულებებს თავისი მოდემისთვის საშიში ხდება.

სახელმწიფოები სადაც უმრავლესობა მუსლიმია ხშირია ადამიანური ტრაგედიები და ამის შედეგი შიმშილი, წყურვილი, სისხლისღვრა, ცრემლი და უბედურებაა.



ყველა ის საქმე და მცდელობა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება და მის უფლებებს იცავს წმიდა და დასაფასებელია. ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა ადამიანის ღირსების შესაფერისი ცხოვრებისთვის ბრძოლას გულისხმობს. ზეციური რელიგიები, მეცნიერული და ფილოსოფიური კვლევები სწორედ რომ ამ მიმართულებით იღწვიან. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გაწეული მცდელობა სასიხარულოა, მაგრამ სამწუხაროდ

ეს ყველაფერი საკმარისი არ გახლავთ.

თანამედროვე ეპოქის უმთავრეს პრობლემებს შორის სწორედაც რომ ადამიანის უფლებების ხელყოფა წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობას ამ მხრივ უფრო გეგმაზომიერი და ხანგრძლივი ბრძოლა სჭირდება.

წინამდებარე ნაშრომი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ისლამის პერსპექტივას განიხილავს და ამ სფეროში განსახორციელებელ აქტივობების განმარტებას ისახავს მიზნად.

I- ადამიანის ფუნდამენტური უფლებები

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ორ ნაწილად გაყოფაა შესაძლებელი. ის უფლებები, რომლებიც ადამიანს იმიტომ ენიჭება, რომ ის ადამიანია და მეორე, ის უფლებები, რომლებსაც ადამიანი პირადი მცდელობის შედეგად მოიპოვებს. მაგალითად, სიცოცხლის უფლება ყველა ადამიანის უფლებაა, განურჩევლად რასისა, ეთნიკური კუთვნილებისა, გვარიშვილობისა, წოდების, აღმსარებლობის და სხვა მსგავსი ფაქტორებისა. გარდა ამისა არსებობს სხვა უფლებები. მაგალითად, არჩევა, არჩევნებში მონაწილეობა, ზოგიერთ საჯარო სამსახურ-

ში დანიშვნის უფლება და სხვა. ეს უკანასკნელი ადამიანის პიროვნულ მიღწევებზე და მის საქმიანობაზეა დამოკიდებული და შესაბამისად უფლებებიც აქედან გამომდინარე წარმოიშობა.

1- სიცოცხლის უფლება

ადამიანის უფლებათაგან უპირველესი სიცოცხლის უფლებაა. ნებისმიერი ცოცხალი არსება ცდილობს გადარჩეს და საფრთხისგან თავის არიდებას ცდილობს. ღმერთის მიერ ნაბოძები სიცოცხლის ხელყოფა არავის უფლება არ არის. იმ არსებების მოკვდინება, რომელიც სხვას ზიანს არ აძლევს არ შეიძლება. განსაკუთრებით კი ადამიანის უსამართლოდ მოკვდინებაა დიდი დანაშაული. ისლამის მიხედვით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მიუტევებელი ცოდვაა, რადგან ადამიანის სიცოცხლე წმიდა და ხელშეუხებელია. ამ უფლების დაღვევა არავის პრეროგატივა არ არის.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ამისთვისდავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე.

ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებანით, მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას.“ (მაიდე 32)



ეს აიათი ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის სიცოცხლეს ისლამი. შემდეგ აიათში კი ნაბრძანებია შემდეგი:

„და არ მოჰკლათ სული, რომელიც ალლაჰმა აკრძალა, გარდა სამართლიანობის აღდგენისთვის. და ვინც მოკლული იქნა უსამართლოდ, მაშინ მის ახლობელს დავუდგინეთ უფლება, მაგრამ არ გადავიდეს ზღვარს შურისგებისას. უეჭველად, იგი შეწევნილი იქნება!“ (ისრა 33)

ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა დიდი უფლებადარღვევაა. ასევე დიდი უფლებადარღვევაა ადამიანის დაჭრა, დაზიანება, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზეწოლა და სხვა. გარდა ამისა დიდი უფლებადარღვევაა თვითმკვლელობა და სხვისი თვითმკვლელობამდე მიყვანა.

ადამიანის უსამართლოდ მოკვდინება საზოგადოების სიმშვიდეს არღვევს, ჩნდება უსამართლობის განცდა, გახშირდება კრიმინალი და თავდასხმები, ადამიანები ერთმანეთს გადაემტერებიან, გამეფდება შურისძიების და სისხლის აღების ტრადიციები და სხვა. ეს ყველაფერი კი საზოგადოებაში წესრიგის მოშლას გამოიწვევს. ადამიანის გადარჩენა და მისი სიცოცხლის დაცვა კი საზოგადოებაში უსაფრთხოების განცდას გაადრმავეებს და სიმშვიდე დაისადგურებს. ღმერთი, როგორც აიათშია ნაბრძანები, ერთი ადამიანის სიცოცხლეს მთელი საზოგადოების სიცოცხლედ თვლის და ამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ერთ პიროვნებაზე უსამართლოდ მოქცევა კი მთელ საზოგადოებაზე უსამართლოდ მოქცევას ნიშნავს.

გაჭირვების შიშით ბავშვის გაწირვა, ან ქუჩაში მიტოვება, ანუ სასიკვდილოდ გაწირვა, ან კიდევ დედის მუცელში მყოფი ნაყოფის მოკვდინება, რომელსაც ორგანოები გამოკვეთილი აქვს, რა თქმა უნდა, მკვლელობაა

და შესაბამისად არამია. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და არ მოჰკლათ შეილნი თქვენი სიღარიბის შიშით! მათაც ჩვენ ვაძლევთ სარჩოს და თქვენაც. უეჭველად, მათი მოკვლა მძიმე ცოდვაა!“ (ისრა 31)

ისლამის მიხედვით განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საქმე სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უსაფრთხოებას ეხება, ისეთი რამეებიც დასაშვებია, რომლებიც ჩვეულებრივ სიტუაციაში კატეგორიულად აკრძალულია. უფრო მეტიც, განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ვაჯიბის დონით სავალდებულო ხდება. ეს ყველაფერი სწორედაც რომ ადამიანის სიცოცხლეზე მინიჭებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. მაგალითად, თუ ადამიანს მოკვლით ემუქრებიან და აძალებენ ღმერთის უარყოფას, შეუძლია მხოლოდ სიტყვიერად უარყოს ღმერთი და თავი გადაირჩინოს.

„გარდა მათი, ვისი გულიც რწმენით იყო გაჟღენთილი, მაგრამ იძულებული გახდა, ხოლო ვინც უარყო ალლაჰი მას მერე, რაც ირწმუნა, და გული გაუხსნა ურწმუნოებას, მაშინ მათზეა რისხვა ალლაჰისგან და მათთვისაა დიდი სასჯელი!“ (ნაჰლ 106)

გარდა ამისა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს, რომელიც საკ-

ვებს ვერ პოულობს და საფრთხე ემუქრება, შეუძლია აკრძალული საკვები მიიღოს. მაგალითად, ღორის ხორცი, ლეში და მსგავსი. ასეთ დროს ამგვარ საკვებზე უარის თქმა უფრო მეტ დანაშაულად ითვლება.

„მან ხომ მხოლოდ ლეში, სისხლი და ღორის ხორცი აგიკრძალათ თქვენ და ის, რაც დაიკლა ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად. ხოლო ის, ვინც იძულებული იყოს, და არ დაარღვევს (სხვის) უფლებას, და ზღვარს არ გადავა, არ იქნება ცოდვად მათთვის. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია!“ (ბაჰარა 173)

სიცოცხლის უსაფრთხოებაზე ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭების მიზეზი ისაა, რომ ყველა ნახსენები ღირებულება სწორედ რომ ადამიანში იყრის თავს. სარწმუნოება, გონება, ქონება, ნამუსი და მსგავსი ფუნდამენტალური ღირებულებები ცოცხალი ადამიანისთვისაა მნიშვნელოვანი და მხოლოდ ცოცხალი ადამიანის შემთხვევაში იძენს მნიშვნელობას. სარწმუნოება და მისი ღებულებები ცოცხალ ადამიანებს ეხება. ამ და სხვა ჭეშმარიტების გამო, ისლამში ადამიანის სიცოცხლეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი სარწმუნოების მიხედვით ომშიც კი გარკვეული ჰუმანური კანონები მოქმედებს. მაგალითად, გაქცეული, დაჭრილი, ან

დანებებული მოწინააღმდეგის მოკვლა არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება მოკვლა იმ ადამიანების, რომლებიც ომში არ იღებდნენ მონაწილეობას. ამ სიას ემატება მოხუცები, ბავშვები, ქალები, სასულიერო პირები და სამუშაოზე გასული მშრომელები. დაუშვებელია დამნაშავეებისა და ტყვეების წამება. ასევე არ უნდა იქნას დაზიანებული მცენარეები და ნათესები.

ისლამი ერთის მხრივ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის სიცოცხლეს და მეორეს მხრივ მკველობების გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ მრავალგვარ პრევენციულ ზომებს მიმართავს. წმ. შამავლის დროს აიკრძალა სისხლის აღების წესი, გვარებს შორის დაპირისპირება და ახალდაბადებული ქალიშვილების ცოცხლად მიწაში დამარხვა. ეს მხოლოდ და მხოლოდ მცირე ჩამონათვალია რაც იმ დროს, ამ კონკრეტული მიმართულებით გაკეთდა.

2- თავისუფლების უფლება

ადამიანის ცხოვრების საფუძველს, თავისუფლება წარმოადგენს. ადამიანი თავისუფალი იბადება და თავისუფლად ცხოვრობს. ადამიანის თავისუფლების უფლება დაბადებისთანავე წარმოიშობა. თუ ადამიანი თავისუფალი არ არის, მის ბედნიერება-

ზე საუბარი შეუძლებელია. ადამიანი როცა თავისუფლებას დაკარგავს, მის უკან ღირებული აღარაფერი დარჩება. მონობა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაა.

ისლამი ადამიანის ღირსებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მნიშვნელობა არ აქვს ადამიანი ახალგაზრდა იქნება თუ მოხუცი, ძლიერი თუ სუსტი, მდიდარი თუ ღარიბი და ა.შ. ისლამი ყველას „დედამიწის ხალიფად“ მოიხსენიებს და ყოველ ადამიანს ადამიანური თვალსაზრისითაც და ღმერთის წინაშეც თანასწორი სტატუსი გააჩნიათ.



სინამდვილეში, ერთ ადამიანის მიერ მეორის დამონება ისლამის ძირითად მიმარულებას, მის არსს არ შეესაბამება, რადგან

ისლამის მიხედვით ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს უნდა ჰმონებდეს.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ადამიანი სხვა სუსტ ადამიანს იმონებდა და უკიდურესად ჩაგრაგდა. ადამიანის ეს ველური სისუსტე განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ადამიანები სხვა ადამიანებს მონად აქცევდნენ წარმოუდგენელი ჩაგვრის შედეგად ექსპლუატაციას უწევდნენ.

უეჭველია, რომ მონობა ისლამის პერიოდშიც იყო. ისლამის მოვლინების პერიოდში მთელ დედამიწაზე მონობა იყო გავრცელებული და ადამიანებს პირუტყვებივით ყიდდნენ. ბუნებრივია ისლამი ამ ყველაფერზე თვალს ვერ დახუჭავდა. ასევე მონობის ერთიანად, ერთი ხელის მოსმით მოსპობაც შეუძლებელი იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ზოგი ადამიანი მთელი ცხოვრება მონის სტატუსით ცხოვრობდა და თავის ბატონს ემსახურებოდა. ბუნებრივია მათ, როგორც ადამიანებს თავიანთ ბატონებთან გაწეული ამდენი ჯაფის სამაგიეროდ გარკვეული უფლებები ჰქონდათ. ისლამი სწორედ ამ მონებს გამოექომაგა და უპირველესად საქვეყნოდ განაცხადა, რომ მონებიც ადამიანები იყვნენ. ყურანის მიხედვით გათავისუფლების მსურველი მონისთვის პატრონს ხელის შეშლა ეკრძალებოდა. გარდა ამისა, არსებული მონების თავისუფ-

ლების ხელშეწყობის მიზნით შეგროვებული ზექათიდან გარკვეული ნაწილი იყო გამოყოფილი.

„ნამუსი დაიცვან მათ, რომელნიც ვერ ახერხებენ დაქორწინებას, იმ დრომდე, სანამ ალლაჰი არ გაამდიდრებს მათ თავისი მადლით. და რომელთაც უნდათ მიიღონ წიგნი „აზატობისა“ მათგან, ვისმა მარჯვენამაც მოიპოვა ისინი, მიეცით მათ ის, თუ იპოვეთ მასში სიკეთე და დაასახუქრეთ ისინი იმ ქონებიდან, რომელიც ალლაჰმა თქვენ გიბოძათ. არ დააძალოთ თქვენს მონა ქალებს მრუშობა, რომ მიიღონ წარმატალი კეთილი, თუკი მათ სურთ უმწიკვლობის შენარჩუნება. და თუ ვინმე აიძულებს მათ ამას, ალლაჰი იძულების შემდეგ, უეჭველად, მათდამი შემნდობია, მწყალობელია! „ (ნურ 33)

„უეჭველად, მოწყალეებანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, დატაკათათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული, ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია, მონათათვის, ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგზავრთათვის. და ალლაჰი ყოველისმცოდნეა, ბრძენია!“ (თევე 60)

გარდა ამისა ისლამი ხელს უწყობდა მონების გათავისუფლების ტენდენციის დამკვიდრებას. მაგალითად: ვინც ფიცს გატეხდა

სასჯელად მონის გათავისუფლება ევალებოდა.

„და არ შეიძლება, მორწმუნემ მორწმუნე მოკლას, უნებლიე შემთხვევის გარდა . და ვინც შემთხვევით მოკლას მორწმუნე, დაეკისროს ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება და სისხლის გამოსასყიდი მისი ოჯახისათვის, თუ არა პატიებისა. ხოლო თუ მოკლული თქვენი მტერი ხალხისგანაა და თვითონ კი მორწმუნე, მაშინ ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება. და თუ იმ ხალხისგანაა, ვისთანაც შეთანხმება გაქვთ თქვენ, მაშინ სისხლის გამოსასყიდი მისი ოჯახისათვის და ერთი მორწმუნე მონის გათავისუფლება; და ვისაც არა მოეპოვება, მაშინ მარხულობა ზედიზედ ორი თვის განმავლობაში ალლაჰის წინაშე მოსანანიებლად. და ალლაჰი ყოველისმცოდნეა, ბრძენია!“ (ნისა 92)

„ალლაჰი თქვენ ფიცში ფუჭსიტყვაობისათვის არ განგსჯით, მაგრამ განგსჯით იმისათვის, რასაც ფიცში აღუთქვამთ . და მისი გამოსასყიდი ათი უპოვრის დაპურებაა საშუალოდ, რითაც საკუთარ ოჯახს კვებავთ , ან მათი შემოსევა, ან ერთი მონის გათავისუფლება. და ვისაც არ მოენახება , მაშინ სამი დღის მარხულობა. ესაა გამოსყიდვა თქვენი ფიცისა, როცა გატყებთ. და დაიცავით თქვენი დაფიცება! ამგვარად გან-

გიმარტავს ალლაჰი თავის აიათებს, ეგების მადლიერნი იქმნეთ თქვენ!“ (მაიდე 89) გარდა ამისა ის. მუჯადელე 2-4)

მონების უფლების დაცვის მიზნით შუამავალი მორწმუნეებს უფრო მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებდა და ბრძანებდა:

„მონები თქვენი ძმები არიან. აჭამეთ ის, რასაც თქვენ მიირთმევთ. ჩააცვიოთ ის, რასაც თქვენ იცვამთ. არ ამუშაოთ მძიმე საქმეზე. თუ მძიმე საქმეს დაავალეთ, მაშინ თქვენც დაეხმარეთ.“

3- სინდისის დაცვის უფლება

პიროვნების სინდისი პატივსაცემია. სინდისის დაცვა ისლამის ძირითად უფლებებში შედის და ისლამი ყველას მოუწოდებს დაიცვან სინდისი და ღირსება. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

„ყოველი მუსლიმისთვის სხვა მუსლიმის სისხლი, ნამუსი და ქონება ჰარამია. გულწრფელობა ადამიანის გულშია.“

შუამავალი თავის გამოსამწვიდობებელ ქადაგებაში (ვედა ჰუთბე) სინდისისა და ღირსების დაცვის თვალსაზრისით, ერთობ მნიშვნელოვან მოწოდებებს გადმოგვცემს:

„ადამიანებო, როგორი წმინდაცაა ეს დღეები, როგორი წმინდაცაა ეს თვე, როგორი წმინდაცაა ეს ქალაქი, ისეთივე წმინდა და ხელშეუხებელია თქვენთვის თქვენი სიცოცხლე, ქონება და ნამუსი. ისინი დაცულია ყოველგვარი ხელყოფისგან“

4- საყოთრება და საყოთრების დაცვის უფლება

ყოველ ადამიანს კანონისა და უფლებების დაცვის ფარგლებში, ლეგიტიმური გზებით, უფლება აქვს იშრომოს და ქონება დააგროვოს. ამასთანავე, პიროვნებას უფლება აქვს ასევე ლეგიტიმური გზებით ეს ქონება გაამრავლოს და ქონებისგან წარმოშობილი ვალდებულებების (ზექათი და სხვ.) შესრულების შემდეგ სურვილისამებრ გამოიყენოს.

პიროვნების უფლებები კანონის შესაბამისად დაცული უნდა იყოს. არავის აქვს უფლება სხვისი ქონება მიითვისოს. ადამიანის ქონებაზე თავდასხმა შრომის ხელყოფაა. შრომა კი, ისლამის მიხედვით, პატივდებული მოვლენაა. შესაბამისად ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, თაღლითობა და მსგავსი ქმედებები, ისლამის მიხედვით კატეგორიულად აკრძალულია. ამგვარი გზებით მოპოვებუ ქონება კი ჰარამია.



ყურანში ღმერთი ბრძანებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთ-მანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენ-დამი!“ (ნისა 29)

მორწმუნე ადამიანი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ერთ დღეს ღმერთს წინაშე წარსდგება და განიკითხება, სხვის ქონებაზე ხელი არ წაუცდება. მორწმუნე ადამიანი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მეზობლებთან მიწის საზღვრებს და არ უნდა დაარღვიოს. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

„ვინც უსამართლოდ, სხვისი კუთვნილი ადგილიდან რაიმეს აიღებს, განიკითხვის

დღეს, იმ ადგილთან ერთად, საიდანაც უსამართლოდ აიღო შვიდჯერ უფრო სიღრმეში ჩაიძირება.“

კერძო პიროვნების საკუთრებაში მყოფი ადგილიდან რაიმის აღება როგორი ცოდვაა, ისეთივე ცოდვაა საზოგადოებრივი ან სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული ადგილიდან რაიმის უსამართლოდ აღება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ყველას წილია, მათ შორის თუნდაც მცირეწლოვანი ობლის და ა.შ.

ჩ- ნამებისგან დაცვის უფლება

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანებს შორის წამება და ჩაგვრა დედამიწის ნებისმიერ წერტილში მცხოვრები ხალხისთვის დამახასიათებელი რამ იყო. თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს მსგავსი პრეცედენტები, ეს კი სწორედ ისაა რომ ადამიანური პრობლემაა. ნებისმიერი აზრი, რომელიც ადამიანს მნიშვნელობას ანიჭებს, მის წამებას არ ეთანხმება და წამების, ამ, ადამიანისთვის შეუფერებელი ქცევის წინააღმდეგია. წამება დღეს საერთაშორისო, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად ითვლება. ამგვარი მიდგომა ასახულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებასა თუ განცხადებებში.

წამება არის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ადამიანზე ზეწოლა და მას გარკვეული მიზნის მისაღწევად იყენებენ. წამება ადამიანის ღირსებას არ შეეფერება და ის ადამიანს უკიდურესად ამცირებს.

ისლამმა წამების ნებისმიერი ფორმა და გამოვლინება საუკუნეების წინ აკრძალა.

წმ. ჰადისის მიხედვით ღმერთი თავისი მონების წამებას კრძალავს. გარდა ამისა ჰადისებით ცნობილია, რომ წმ. შუამავალი ომის დროსაც კი ადამიანების წამებას კრძალავდა.

შუამავალი არამარტო ადამიანების წამებას კრძალავდა. ის ცხოველების მიმართაც ჰუმანურ მოპყრობას გვირჩევდა. მისი სწავლების მიხედვით ცხოველების ცემა, წვალება, მშივრად ან მწყურვალედ დატოვება მიუღებელია.

6- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ადამიანის ფუნდამენტალური უფლებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მისი საიდუმლოების უზრუნველყოფაა. განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში, როცა

ტექნიკური საშუალებები ასე განვითარებულია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ხშირად ირღვევა. ჩვენს სარწმუნოებაში პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელშეუხებლობის დაცვის თვალსაზრისით რამოდენიმე პრინციპია დადგენილი. თ ამ პრინციპებს გარკვეული თანმიმდევრობით დავალაგებთ, შემდეგ სახეს მიიღებს:

ნაყლის ან დაფარული საიდუმლოს მოძიება და ფარული საყიობების ხალხში ვაიწყელება აკრძალულია.

ისლამში ტერმინი „თეჯესუს“-ი რაიმის საიდუმლოს, დაფარული მხარის კვლევას ნიშნავს. ზოგადად ეს ტერმინი ფარუსი, სასირცხო საქმეების ძიების მნიშვნელობით გამოიყენება. არსებობს საიდუმლო, რომლის გამხელაც ადამიანს ფიზიკურ, ფინანსურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს მოუტანს, ან ზიანიც რომ არ მოუტანოს, საიდუმლოს პატრონის მისი გამხელა არ სურს, ასეთ საიდუმლოს გაქექვა და გამომჟღავნების მცდელობა მიუღებელია. მაგალითად: პიროვნების საბანკო ანგარიშის ნომრის გაგების მცდელობა, მეუღლესთან თანაცხოვრების ინტიმური დეტალების გაგება, ფარული მიყურადება, ისეთ ადგილებში შეღწევის მცდელობა, სადაც არ უნდათ რომ ვიყოთ, სხვისი წერილების ან გზავნილების წაკითხვა და სხვა

მრავალი მსგავსი ადამიანის უფლებების ხელყოფის მაგალითებია. წმ. შუამავალი ამის შესახებ ბრძანებდა:

„თუ თქვენი მორწმუნე ძმის ნაწერს ნებართვის გარეშე დახედავთ, ეს იმის ტოლფასია თითქოს ჯოჯოხეთს დახედეთ.“



ისლამი სხვისი ნაკლოვანებების და საიდუმლოებების გამომზეურების მცდელობას უარყოფითად აფასებს და ამას პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად თვლის. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავესებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გაკილოს ზურგსუკან სხვები. განა სურს თქვენგან

რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“ (ჰუჯურათ 12)

გარდა ამისა, ისლამი მოგვიწოდებს დაფაროთ ადამიანების ნაკლი და მიუუტევოთ მათ. ყურანში ნაბრძანებია, რომ ამგვარი ქცევა ღმერთის სიყვარულამდე მიგვიყვანს.

„რომლებიც გასცემენ ჭირშიც და ღხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელნი!“ (ალი იმრან 134)

წმ. შუმაგალი ბრძანებდა:

„ვინც მუსლიმის ნაკლოვანებას დაფარავს, ღმერთი განკითხვის დღეს მის ნაკლოვანებას დაფარავს“.

იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ადამიანთა საიდუმლოებების გამოაშკარავებას ცდილობენ და პირად ცხოვრებაში იჭყიტებიან, წმ. შუამაგალი ბრძანებდა, რომ „მათ ენით სწამთ, მაგრამ რწმენას მათ გულებამდე არ მიუღწევია.“

დღეს, როცა ტექნოლოგიური საშუალებები ასე განვითარებული და გავრცელებულია, ხშირია შემთხვევა, როცა ოჯახური საიდუმლოებები მასმედიაშიც კი ხვდება

და ფართო საზოგადოებას ეცნობა. ხდება შემთხვევები, როცა ადამიანს სურს თავისი პირადი ცხოვრების შესახებ საიდუმლო სხვამ არავინ იცოდეს, მაგრამ ხდება ისე, რომ მას მილიონობით ადამიანი გებულობს. ეს მდგომარეობა ადამიანის უფლებების სერიოზულად უხეში დარღვევაა.

ბ. საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა

საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა პიროვნების საცხოვრებელ ადგილას, ნებართვის გარეშე შესვლის, ჩხრეკის, ან რაიმე ნივთზე ხელის ხლეების აკრძალვას გულისხმობს. გამომდინარე აქედან, ნებართვის გარეშე პიროვნების საცხოვრებელ სახლში შესვლა მიუღებელია. მნიშვნელობა არ აქვს სახლში შესვლის მიზანი რა იქნება.

ისლამი, ადამიანთა ამ უფლების დაცვის მიზნით რამოდენიმე პრევენციულ ღონისძიებას მიმართავს, რომელთაგან ზოგიერთს შემოგთავაზებთ:

1. სახლში მხოლოდ ყარებლად შესვლა ნებადართულია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„გეკითხებიან შენ ახალმთვარეთა შე-

სახებ, უპასუხე: ის არის განსაზღვრული ვადები ხალხისთვის და ჰაჯისთვის. ღვთისმოსაობა არ არის ის, რომ სახლებში მათი უკანა მხრიდან შეხვიდეთ. ღვთისმოსაობაა, როცა ღვთისმოსაობაში ხარ. მაშ, შედით სახლებში მათი კარიდან და გეშინოდეთ ალლაჰის, ეგების გადარჩენილნი იქმნეთ!“ (ბაჰარა 189)

ამ აიათით, უმეცრების ხანის ერთ-ერთი ცუდი წესი აიკრძალა, როცა სახლებში კარის გარდა სხვა ადგილებიდან შედწევა ხდებოდა და ეს საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლებას უხეშად არღვევდა.

2. სახლებში ნებართვის გარეშე შესვლა აკრძალულია.

პირადი ცხოვრების და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი, საცხოვრებელ ადგილას ნებართვის გარეშე შესვლის აკრძალვაა. სახლის მდგომარეობა ყოველთვის არ არის ისეთი, რომ სხვების მიერ მისი ნახვა შეიძლებოდეს. ყურანში, ნურის სურას 58-59-ე აიათებში ნათლადაა მითითებული, რომ პიროვნების სახლში უნებართოდ შესვლა მიუღებელია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მათთვის დასვენების საათებია. ადამიანი ამ დროს

შეიძლება ისეთ მდგომარეობაში იყოს, რომ არ სურდეს სხვებმა ეს ნახონ.

1. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, თქვენი მარჯვენით მოპოვებულმა მონებმა და იმათ, ვინც სრულწლოვანი არ გამხდარა, თქვენგან ნებართვა აიღონ შემოსვლაზე სამგზის: დილის ლოცვამდე, შუადღეს, როცა სამოსს იხდით და სადამოს ლოცვის შემდეგ. აი, სამი ჟამი სიშიშვლისა თქვენთვის. სხვა შემთხვევაში არც თქვენ და არც მათ ცოდვად არ გეთვლებათ ერთმანეთთან მიმოსვლა. ასე გაგიმარტავთ თქვენ ალლაჰი აიათებს. რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

2. როცა თქვენი ბავშვები სრულწლოვანებას მიაღწევენ, ნებართვა აიღონ თქვენგან, როცა ამას აკეთებენ მათზე უფროსები. ასე განგიმარტავთ თქვენ ალლაჰი აიათებს. რამეთუ ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!
(ნურ 58-59)

თუ ყურადღებას მივაქცევთ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა უნებართოდ სახლში შესვლისას ირღვევა. გამომდინარე აქედან, ისლამის სწავლულთაგან ზოგიერთმა გამოიტანა დასკვნა, რომლის თანახმადაც, ნებართვის გარეშე სხვის საცხოვრებელ სახლში შესვლა იგივეა, რაც სხვილი ქონების ხელყოფა.



ყურანუ ნაბრძანებია შემდეგი:

3. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ სახლებში, გარდა თქვენი სახლებისა, სანამ არ ითხოვთ ნებართვას და არ მიესალმებით იქ მცხოვრებლებს. ეს თქვენთვისვეა უკეთესი, ეგების შეიგონოთ!

4. და თუ ვერავის ნახავთ მასში, არ შეხვიდეთ, სანამ ნებას არ დაგრთავენ. და თუ გეტყვიან „გაბრუნდით უკან!“ - წადით. ეს

უმჯობესია თქვენთვის. ჭეშმარიტად, ალლაჰი უწყის იმას, რასაც აკეთებთ!“ (ნურ 27-28)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საკითხის უფრო მეტად ნათელსაყოფად წმ. შუამავალი ბრძანებდა: „სამჯერ დააკაკუნეთ. თუ ნებართვა მოგცეს, შედით. წინააღმდეგ შემთხვევაში გაბრუნდით.“

განსაკუთრებით საინტერესო ამბავი შემთხვა ხალიფა ომარს, რომელიც საკითხთან პირდაპირ კავშირშია. გადმოცემის თანახმად ხალიფა ომარი ღამით, მედინაში, კონტროლის მიზნით დადიოდა. ერთ-ერთ სახლთან შეჩერდა, საიდანაც სიმღერის ხმა გამოდიოდა. ხალიფა ომარი გალავანზე გადაცოცდა და შიგნით შევიდა. შიგნით მოულოდნელი სურათი დახვდა. სახლის პატრონი ვიღაც უცხო ქალთან ერთად იჯდა და სუფრაზე ღვინოც ჰქონდათ. ხალიფა ომარი გაბრაზდა და კაცს უთხრა: „ჰეი, შენ! ღმერთის მტერო, ცოდვას სჩადიხარ და გგონია ღმერთი არ გამოგააშკარავებს?!“

კაცმა მიუგო: ნუ ჩქარობ მუსლიმთა მბრძანებელო. მე ერთი ცოდვა ჩავიდინე, შენ კი სამჯერ შესცოდე.

კაცმა სამი აიათი წაუკითხა:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი

ვარაუდი ცოდვება. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გააკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განა სურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“ (ჰუჯურათ 12)

„გეკითხებიან შენ ახალმთვარეთა შესახებ, უპასუხე: ის არის განსაზღვრული ვადები ხალხისთვის და ჰაჯისთვის. ღვთისმოსაობა არ არის ის, რომ სახლებში მათი უკანა მხრიდან შეხვიდეთ. ღვთისმოსაობაა, როცა ღვთისმოსაობაში ხარ. მაშ, შედით სახლებში მათი კარიდან და გეშინოდეთ ალლაჰის, ეგების გადარჩენილნი იქმნეთ!“ (ბაქარა 189)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ შეხვიდეთ სახლებში, გარდა თქვენი სახლებისა, სანამ არ ითხოვთ ნებართვას და არ მიესალმებით იქ მცხოვრებლებს. ეს თქვენთვისვეა უკეთესი, ეგების შეიგონოთ!

კაცმა გააგრძელა: შენ ჩემი დაფარული ნაკლი გამოიკვლიე, შემდეგ სახლში არა კარებიდან, არამედ უკანა მხრიდან შემოსველი და არც შემოსვლის ნება გითხოვია და არც მომსალმების ხარ.

ასეთ პასუხის შემდეგ ხალიფა ომარი დაფიქრდა და კაცს სთხოვა: „მე რომ გაპატიო, შენ თუ მაპატიებ? გაპატიებო, უთხრა კაცმა. ამის შემდეგ ხალიფა ომარი მიტრიალდა და უხმოდ წავიდა.

3. სახლის დათვალიერება ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სახლის პატრონის ნებართვის გარეშე სახლში შესვლა მიუღებელია. ასევე მიუღებელია სახლის დათვალიერება თუ პატრონის ნებართვა არ არის. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ნებართვის გარეშე სხვისი სახლის დათვალიერება არავის ეპატიება“.

გ- ქორთობა აკრძალულია

ჭორი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს და ის ცუდი საქციელია. ჭორი ძირითადად მაშინ ხორციელდება, როცა ადრესატი არ არის და მის ზურგს უკან საუბრობენ. ჭორი, ადამიანებს შორის სიყვარულს, პატივისცემასა და ურთიერთგაგების გრძნობას აუქმებს და სამაგიეროდ ბოღმას, სიძულვილსა და მტრობას ნერგავს. ჭორის შედეგად ადამიანები ისეთ ამბებს ავრცელებენ, რის გავრცელებასაც ჩამდენი არ ისურვებდა და ამგვარად ეს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევაა.

ისლამის მიხედვით ჭორი სასტიკად აკრძალულია და ის ღემის ჭამასთანაა შედარებული.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! საესებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გააკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განასურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია.“ (ჰუჯურათ 12)

ღ- ენის მიტან-მოტანა აკრძალულია.

ენის მიტან-მოტანა ცუდი საქციელია. ერთი პიროვნების ნათქვამის მეორეზე თქმა, რომლის დროსაც ამ ორ ადამიანს შორის კონფლიქტია მოსალოდნელია, მიუღებელია.

ენის მიტანა ხშირად პირადი ცხოვრების გამომზეურების საშუალებაა. პირადი ცხოვრების დეტალების ხშირად ამ გზით ვრცელდება. ამის თაობაზე ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ზურგს უკან მკილავს, საზიზღარი ჭორის გამავრცელებელს, ცილისმწამებელს,“
(ყალბ 11)

წმ. შუამავალი კი ბრძანებდა:

„ადამიანების წაკიდების მიზნით ენის მიმტანი სამოთხეს ვერ ეღიროსება.“

მდგომარეობა. როცა პირადი ცხოვრების დაფარვა რეალუბის უგულვებლყოფა შეიძლება

არსებობს შემთხვევები, როცა პირადი ცხოვრების დაფარულობის უგულვებლყოფა შეიძლება. ასეთ სიტუაციები, ზოგადად საპატიო მიზეზს ან აუცილებელ მდგომარეობას ეხება. შემდეგ სიტუაციებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევა შეიძლება:

1. როცა სახლში საფრთხეა, მაგალითად ხანძარი, წყალდიდობა, ჩამონგრევის საფრთხე და სხვა, სახლში უნებართოდ შესვლა შეიძლება. იგივე ეხება ქურდობის, ძარცვის შეთხვევაშიც. თუ სახლს ძარცვავენ პატრონის ნებართვის გარეშე შესვლა და ძარცვისთვის ხელის შეშლა შეიძლება.

2. გარკვეული კანონის მოთხოვნითა და ასევე კანონიერების დაცვით საცხოვრებელ სახლში შესვლა ჩხრეკა მისაღებია. ასეთ დროს სახლის პატრონის მხრიდან ნებართ-

ვის გაცემა-არ გაცემა მნიშვნელობას არ ატარებს. ასეთ მდგომარეობაში, სახლში მყოფების გაფრთხილება საჭიროა, რადგან მოწესრიგება შეძლონ.

3. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ზოგიერთ პიროვნებას უფლება აქვს პირადი ცხოვრების კონკრეტულ დეტალებს გაეცნოს. (მაგალითად ადვოკატი, ექიმი და სხვა) ბუნებრივია ამ პროცესშიც წესი და რიგი დაცული უნდა იყოს.

7- ვადააღვიუების, მოგზაურობის, საცხოვრებლად დამყიდრობის უფლება

უსამართლობის ან ჩაგვრის პირობებში ჩავარდნილი ადამიანს უფლება აქვს მოძებნოს სანდო ადგილი, სადაც უსაფრთხოდ იქნება და გადაადგილდეს. ასეთი მდგომარეობა რომც არ იყოს, ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს იმოგზაუროს და თავისუფლად გადაადგილდეს. შემოგთავაზებთ აიათებს, რომელიც ამ კონკრეტულ თემას ეხება:

„და ჩვენ არ წარგვიგზავნია შენამდევ, თუ არა კაცნი სოფელთა მკვიდრთაგან, რომელთაც ზეშთავაგონებდით? განა, არ უმოგზაურიათ ქვეყანაზე? დროა დაინახონ! როგორი იყო აღსასრული იმათი, რომელ-

ნიც მათ უწინ იყვნენ, და უთუოდ სამყოფელი იმქვეყნიური უფრო უკეთესია მათთვის, რომელნიც იყვნენ ღვთისმომშინი. იმედია, გონს მოეგებით!“ (იუსუფ 109)

„იგია, რომელმაც დაადგინა თქვენთვის დედამიწა მორჩილად. დაე, იარეთ მის ზურგზე, რამეთუ მასთანაა აღდგომა.“ (მუქა 15)



8- რელიგიისა და სინდისის თავისუფლება

ადამიანის უფლებების ხსენებისას, გონებაში უპირველესად ის თავისუფლება მოგვდის, რომელსაც ადამიანი უნდა ფლობდეს. თავისუფლების ყველაზე მთავარი და თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე მეტად კამათის საგნად გამხდარი რელიგიის და სინდისის თავისუფლებაა.

რელიგიის და სინდისის თავისუფლება სასურველი რჯულის თავისუფლად არჩევას და ამ რჯულის შესაბამისად ცხოვრებას გულისხმობს. გარდა ამისა, ადამიანს უნდა შეეძლოს რწმენის შესაბამისი ცოდნის შექმნა, სხვაზე ახსნა და ა.შ.

რწმენა, უპირველეს ყოვლისა შინაგანი აღიარება და გულის საქმეა. ისლამი ადამიანებს აძლევს არჩევანის უფლებას ან იწამონ, ან არა. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და უთხარი: „ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგანაა, ამის შემდეგ ვინც ინებებს, ირწმუნებს და ვინც ინებებს, უარყოფს. უეჭველად, ჩვენ გავამზადეთ უსამართლოთათვის ცეცხლი, რომელიც გარედან შემოერთყვება მათ. და თუ წყალს მოითხოვენ, დარწმუნებული იქნება წყლით, გამდნარი ლითონის დარით, რომელიც სახეებს“ (ქუჰ 29)

ყველას აქვს უფლება სურვილისამებრ იწამოს. ამ საკითხში ადამიანის ნებაზე ზემოქმედება მიუღებელია. ადამიანებს თავიანთი ნების გათვალისწინებით უფლება აქვთ იწამონ, ან არ იწამონ. თმცა, ღმერთი ადამიანებს მოუწოდებს იწამონ, რადგან მან ადამიანებს გონება და აზროვნების უნარი მიანიჭა.

„და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის.“

(ზარიათ 56)

გამომდინარე აქედან, ადამიანმა რომ თავისი ნებით აირჩიოს სწორი გზა და იწამოს, ეს მისი გაჩენის ძირითადი მიზანია. ამ პროცესში ღმერთმა ადამიანი მარტო არ დატოვა და შუამავლები მოუვლინა. ეს იმიტომ, რომ ადამიანმა შეიძლება თავისი გონებით ვერ შეეძლოს განასხვავოს ჭეშმარიტება და მცდარი და ამაში სწორედაც რომ შუამავლები ეხმარებიან.

ისლამში დაძალება მიუღებელია. მისაღებია მხოლოდ ახსნა, მოწოდება, ქადაგება, რჩევა-დარიგება და სხვა. ყველა შუამავალი, სწორედ ამ მიზნით იქნა მოვლენილი და ისინი ამგვარად ავრცელებდნენ ჭეშმარიტებას. ამ წმინდა მოვალეობის აღსრულებისას, შუამავლები დაძალებას, მუქარას, ზეწოლას და მსგავს ქმედებებს არ იყენებდნენ. ისინი რჩევით, ახსნით, ქადაგებით, მაგალითის მიცემით და სხვა ჰუმანური მეთოდებით აკეთებდნენ ამას. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავლად არის იმის მაგალითები, როცა შუამავლები ზეწოლის მაგივრად ჰუმანურ მეთოდებს იყენებდნენ. მაგ:

1 „ორივე მხლით ფარაონთან, უეჭველად, იგი ზღვარს გადავიდა!

2 ასე რომ, უთხარით მას რბილი სიტყვა, ეგების შეიგნოს ან შეშინდეს!“ (თაჰა 43-44)

აღნიშნული აიათი ამ საკითხის განმარტებისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ადამიანებზე რწმენის დაძალება ან კიდევ რწმენის ძალდატანებით შეცვლის მცდელობა მართებული არ არის და პრინციპში ეს შეუძლებელიცაა. ამის დასტურისაა, რომ შუამავლების მოვალეობა მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოების ახსნა, ქადაგება და გავრცელება იყო.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„შენს ღმერთს რომ ენება, უთუოდ ყველა ერთბაშად ირწმუნებდა, ვინც კი დედამიწაზეა. მაშ, შენ აიძულებ ხალხს, რათა იქმნენ მორწმუნენი?“ (იუნუს 99)

გარდა ამისა, მრავალ აიათშია გადმოცემული თუ როგორ ასრულებს შუამავალი ამ წმინდა მოვალეობას, სარწმუნოების გავრცელებას. ის მხოლოდ ახარებდა ადამიანებს და აფრთხილებდა მათ. ძალდატანება კი მის მოვალეობებში არ შედიოდა.

„უთხარი: ჰეი, ხალხო! თქვენ მოგეველინათ ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგან. ვინც ჭეშმარიტ გზას დაადგება, უეჭველად, თავის სულს დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე. და ვინც ცდუნებას დაადგება, მხოლოდ ცდუნებაშია

თავისსავე საზიანოდ. და მე არა ვარ თქვენ-
და გუშაგი!“ (ოუნუს 108)

„და ჭეშმარიტება იგი ჩვენ ზეგარდმოვავ-
ლინეთ. და ჭეშმარიტებით ზეგარდმოვლინდა.
შენ კი არ წარგვიგზავნიხარ, თუ არა მახა-
რობლად და შემგონებლად.“ (ისრა 105)

„მაშ, შეაგონე, შენ ხომ მხოლოდ შემგო-
ნებელი ხარ!“

შენ არა ხარ მათზე მოძალადე.“ (ლაშიე
21-22)

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრ-
ძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე
მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შე-
ნი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თა-
ვის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე
მყოფთ!“ (ნაჰლ 125)

„იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმა-
რიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილის-
გან. მაშ, ვინც უარყოს ტალუთი (ეშმაკი და
ეშმაკისეული გზა) და იწამოს ალლაჰი,
უეჭველად, ის მყარ საყრდენს არის ჩაჭიდე-
ბული, რომლის ნგრევა შეუძლებელია. უეჭ-
ველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმ-
ცოდნეა.“ (ბაყარა 256)

წმ. შუამავალი სხვა რელიგიის წარმო-
მადგენლებს თავიანთი რწმენის შესაბამი-
სი ღვთისმსახურების შესრულებისას ხელს

არ უშლიდა. წმ. შუამავლის ეს პრაქტიკა მის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. ასე იყო ოსმალეთის სახელმწიფოშიც. სხვა რელიგიების წარმომადგენლებს რელიგიური რიტუალების შესრულების სრული უფლება ჰქონდათ.

თუმცა, ისლამის მიხედვით, იმ ადამიანებს, რომლებსაც ცრურწმენები გააჩნიათ, ამ ცრურწმენების შესახებ ღამაზი ფორმით საუბარი და რჩევის მიცემა მნიშვნელოვანი მოვალეობაა. ეს უკანასკნელი რწმენის თავისუფლების შეზღუდვად არ უნდა იქნეს მიჩნეული. აქ არ არის ძალდატანება და რაიმე მსგავსი.

გარდა ამისა, მუსლიმებს არამუსლიმების სიწმინდეების შეურაცხყოფა ეკრძალებათ და ეს, ისლამურ საზოგადოებაში რწმენის თავისუფლების ნათელი გამოვლინებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და არ გაუკიცხოთ, რომელთაც ისინი მოუხმობენ ალლაჰის გარდა, მერე მტრობით ზღვარს გადავლენ და უვიცობით ალლაჰს დააძაგებენ ეგენი. და ასე მოვუკაზმეთ ჩვენ ყოველ ერს თავისი საქმენი. მერე თავიანთ ღმერთთანაა მათი მიბრუნება. მაშინ აცნობებს მათ, რასაც ისინი სჩადიოდნენ.“ (ენამ 108)

9- გამოხატვის თავისუფლება

საკუთარი აზრის ქონის და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ყველაზე ბუნებრივი უფლებაა. ადამიანს, სხვა არსებებისგან ეს თვისება განასხვავებს. ამის გამოა, რომ ღმერთი ყურანში ადამიანებს მუდმივად მოუწოდებს გონებას მოუხმონ. მაგალითისთვის შემდეგ აიათს შემოგთავაზებთ:

„უეჭველად, ცათა და დადამიწის გაჩენაში, დღე-ღამის ცვლაში, და გემებში, ზღვით რომ მიმოაქვთ რაც ადამიანებს სჭირდებათ; და წყალში, რომელიც ალლაჰმა ცით მოავლინა და გააცოცხლა მიწა მისით სიკვდილის მერე და ყველანაირი ცხოველი მიმოფანტა მასზე; ქარების მონაცვლეობაში და მორჩილ ღრუბლებში, ცასა და მიწას შორის სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.“ (ბაყარა 164)

ისლამის ისტორიაში, განსაკუთრებით კი პირველ ხანებში საკუთარი აზრის ქონის და გამოხატვის თავისუფლების გავრცელება და ამის შემდგომში მსოფლიო პრაქტიკაში დამკვირდება საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა. ისლამის ისტორიაში საკუთარი აზრის ქონა მხოლოდ რელიგურ საკითხებს არ ეხებოდა და ის სხვა ცხოვრებისეულ საკითხებსაც მოიცავდა.

ისლამის ისტორია სავსეა მაგალითებით, როცა სხვადასხვა მოსაზრების ჭიდილი მიმდინარეობდა და ეს ყველაფერი წერილობითი სახით არის შემონახული. ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმდინარეობები და როგორც რწმენის, ისე სამართლებრივი სკოლები. როგორც ცნობილია, ისლამის ისტორიაში „იხთიჰადის“ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იხთიჰადი არის ისლამის სწავლულთა მიერ, იმ საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მცდელობა, რომელთა შესახებ მტკიცე დებულება არ არსებობს. გამომდინარე აქედან, იხთიჰადი გონებრივი პროცესია, რომლის დროსაც ადამიანის აზროვნება წამყვან როლს თამაშობს. იხთიჰადის დროს აზრის თავისუფლად დაფიქსირება და კამათი ნორმალური პროცესია.

წმ. შუამავალი თავისუფალი აზრის დაფიქსირებას ხელს უწყობდა და ადამიანებს აზროვნებისკენ მოუწოდებდა. ის ამბობდა, რომ თუ სწავლული, ან მოსამართლე იხთიჰადის გზით დასკვნას გამოიტანდა და ეს დასკვნა სწორი აღმოჩნდებოდა, ეს ორმაგად მაღლი იყო, თუ ის შეცდებოდა, ერთ მაღლს მაინც იმსახურებდა. ამგვარი განცხადებით შუამავალი აზრის გამოხატვას მნიშვნელობას ანიჭებდა და ადამიანებში აზრის გამოხატვის მოტივაციას ამაღლებდა.

აზროვნება და ნააზრევის დაფიქსირება, ისლამში მხოლოდ უფლება კი არ არის, არამედ მოვალეობაცაა. ყოველი მუსლიმის ვალია ადამიანებს სიკეთისკენ მოუწოდოს და ეს, მხოლოდ და მხოლოდ აზრის გაზიარების საშუალებითაა შესაძლებელი. ყურანში, ებრაელები სწორედ ამიტომ არიან გაკრიტიკებული, რომ ისინი ამ საკითხს არასაკმარისი სერიოზულობით ეკიდებოდნენ.

„ურწმუნონი, რომელნიც არიან ისრაილის შვილთა შორის, დაწყევლილი არიან დავუდის და ღისას, მარიამის შვილის პირით. ეს იმისათვის, რომ ურჩნი იყვნენ და ზღვარს გადადიოდნენ,

ისინი არ უკრძალავდნენ ერთმანეთს ცუდ საქმიანობას. რაოდენ საზიზღრობაა ის, რასაც ისინი სჩადიოდნენ!“ (მაიდე 78-79)

10- განათლების მიღების თავისუფლება

ისლამი, უპირველეს ყოვლისა განათლების რელიგიაა. ამას მოწმობს პირველი აიათიც, რომელიც იწყება ბრძანებით: „წაიკითხე“. გარდა ამისა სხვა მრავალ აიათშია საუბარი ცოდნის მნიშვნელობაზე.

1 „იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა !

2 მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან!

3 იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია,

4 რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა!

5 შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!“ (სურა ალაც 1-5)



„განა ის, ვინც მორჩილად ატარებს ღამის საათებს, სეჯდუზე გართხმული ან მდგომი, უფრთხილდება საიქიოს და სასოებს წყალობას თავისი ღმერთისგან, უთხარი: „განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უვიცნი?!“ უეჭველად, შეიგონებენ მხოლოდ ბრძენკაცნი, ჭკუასაკითხნი!“ (ზუმერ 9)

ის ღამის შუამავალიც სწორედ შესაბამისად მოიქცა. ის ყოველთვის უხსნიდა

ხალხს თუ რაოდენი მნიშვნელობა ჰქონდა ცოდნასა და განათლებას. ამასთანავე მან ასწავლა ადამიანებს, რომ ცოდნის შეძენის უფლება ყველას თანაბარი ჰქონდა და ამ თვალსაზრისით სქესს, ან სხვა ფაქტორს მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

შუამავალი მექადან მედინაში როცა გადავიდა, უპირველეს ყოვლისა მეჩეთი ააგო და შემდეგ მეჩეთის უკანა ნაწილში სასწავლო ცენტრი გახსნა, საცად მსურველები ცოდნას ეუფლებოდნენ.

იმის დასტურად, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შუამავალი განათლებას და ცოდნის მიღებას, მრავალი ჰადისი არსებობს.

მედინაში მოღვაწეობის პერიოდში შუამავალი ძალიან ბევრს ცდილობდა, რომ მუსლიმთა შორის რაც შეიძლება მეტი წერაკითხვის მცოდნე ყოფილიყო და მედინა სასწავლო ცენტრად ექცია. ბედირის ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილ ურწმუნოთაგან ვინც წერა-კითხვა იცოდა შუამავალმა დაავალ თითოეულს 10 მუსლიმი ბავშვისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა, ხოლო ამის შემდეგ ტყვეობიდან გაათავისუფლებდა. გარდა ამისა, შუამავალი სხვადასხვა რეგიონებში მცოდნე ადამიანებს აგზავნიდა, რათა იქ მცხოვრები ადამიანებისთვის ესწავლებინათ. ამგვარ საგანმანათლებლო

პროცესში არამარტო მამაკაცები, ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. შუამავალმა იცოდა, რომ განათლების მიღება ქალების ბუნებრივი უფლებაც იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ყურანი მრავალგზის გვაფრთხილებს და შუამავალიც საუკეთესო მაგალითებს იძლეოდა, დღეს, 21-ე საუკუნეში მცდარი შეგნების მატარებელი გოგონების სწავლის წინააღმდეგ გამოდიან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი შვილები, გოგო იქნება თუ ბიჭი, დიადი ღმერთის მიერ ჩვენთვის ბოძებული საჩუქრები არიან, რომლებიც ბედნიერების და სიხარულის წყაროდ უნდა მიგვაჩნდეს. მათდამი მოქცევა, მათდამი გამოცენილი მზრუნველობა მათი სქესის გამო განსხვავებული არ უნდა იყოს. ისინი თანაბარნი არიან და ერთის უფლება, მეორის უფლებაზე მეტი ან ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, გოგონების მიმართ უყურადღებობა, მათი მემკვიდრეობის, ან განათლების გარეშე დატოვება ისლამის საფუძვლებს არ შეესაბამება.

წმ. შუამავალი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას, რომ თავისი მეგობრებიდან ზოგიერთს არაბულის გარდა სხვა ენების შესწავლა დაავალა.

გარდა ამისა, შუამავალი განსწავლულ ხალხს ავალდებულებდა თავიანთი ცოდნა სხვებისთვის გადევცათ. ცოდნის დამალვა

კი მიუღებლად სცნო. ცოდნის დამალვა, ადამიანის ცოდნის მიღების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. წმ. შუამავალი აფრთხილებდა ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ცოდნა გააჩნდათ და ამას სხვებს არ უზიარებდნენ.

წმ. შუამავალი ბრძანებდა, რომ იმ სწავლულების კეთილი საქმენი, რომლებიც სასარგებლო მეცნიერულ შრომას ეწევიან და ამას სხვებსაც შეასწავლიან სიკვდილის შემდეგ არ დასრულდება და მათი ჯილდოს ხარისხი მუდმივად უმჯობესდება. ამ საკითხის შესახებ შემოგთავაზებთ ჰადისს:

„ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი საქმენი წყდება. მხოლოდ სამი ადამიანის მადლიანი საქმენი გაგრძელდება: პირველი; ადამიანი, რომელიც სკოლას, მეჩეთს, წყალს, საავადმყოფოს და მსგავს საქველმოქმედო რამის აგებაში მიიღებს მონაწილეობას. მეორე: სასარგებლო ცოდნას ვინც გაავრცელებს. მესამე: ადამიანი, როემელიც სასარგებლო შვილს აღზრდის და ეს შვილი მისთვის ღმერთს შეევედრება. „

11- შრომის უფლება

შრომა და შრომის შედეგად სარგებლის მიღება, ადამიანების როგორც უფლება ისე

მოვალეობაცაა. ისლამი ადამიანებს შრომისკენ მოუწოდებს და სხვებზე ტვირთად დაწოლას მიუღებლად მიიჩნევს.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც.

და უეჭველად, გარჯა მისი სულ მალე დანახულ იქნება.“ (ნეჯმ 39)

წმ. შუამავალი მუდმივად შრომის და სარჩოს მოპოვებისკენ მოუწოდებდა თავის მიმდევრებს და სამათხოვროდ ხელის გაწოდებას მოუწონარ საქციელად თვლიდა. ამ თემას შემდეგი ჰადის უფრო მეტ ნათელს ჰფენს:

„არავის არ უჭამია იმაზე სასარგებლო ლუკმა, რასაც ხელის შრომით მოიპოვებთ.“

მშრომელ ადამიანებს თავიანთი ნაშრომის საზღაური აუცილებლად უნდა მიეცეთ. შუამავალი ბრძანებდა, რომ მუშას გასამრჯელო ოფლის გაშრობამდე უნდა მიეცესო.

გარდა ამისა, შუამავალი მორწმუნეებს მოუწოდებდა ხელქვეითებს და მათზე დამოკიდებულ ადამიანებს კარგად მოჰყოლობოდნენ:

„ისინი თქვენი ძმები არიან. აჭამეთ ის, რასაც თქვენი მიირთმევთ. ჩააცვიოთ ის, რა-

საც თქვენ იცვამთ. არ ამუშაოთ მძიმე საქმეზე. თუ მძიმე საქმეს დაავალებთ, მაშინ თქვენც დაეხმარეთ.“

მშრომელი ადამიანის შრომის ადეკვატური გასამრჯელოს გადახდა, დროულად გადახდა, სამუშაო საათების ნორმალური განრიგი და სამუშაო პირობების ნორმალურობა შრომის უფლების დაცვის ელემენტებია.

შრომის უფლების დაცვის თვალსაზრისით ერთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი სამუშაოზე აყვანაა. ამ დროს პროფესიონალიზმს უნდა მიექცეს ყურადღება. როცა საქმის უკეთესი მცოდნე არსებობს, რაღაც სხვა მიზეზების გამო საქმის ნაკლებად მცოდნის სასარგებლოდ არჩევანი არ უნდა გაკეთდეს. ამ დროს ადამიანები არ უნდა განვასხვავოთ ეროვნების, რელიგიის და მსგავსი ფაქტორების გამო. ამის უგულვებელყოფა შრომის უფლების დარღვევადაა მიჩნეული. საკითხთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ჰადისს:

„როცა არსებობს საქმის უფრო უკეთ მცოდნე და უფრო ღირსეული პიროვნება, ახლობლობის გამო სხვისი არჩევა დალატიცა ღმერთის, შუამავლი და მთელი მუსლიმების.“

ამ ჰადისში განსაკუთრებით ყურადსადეები ტერმინი „დალატი“-ა, რადგან არასანდო

ადამიანებზე საქმის ჩაბარება მხოლოდ საქმის უკეთ მცოდნეთა უფლებების შეზღუდვა კი არ არის, არამედ ასეთი ქმედება მთელი საზოგადოების დაღაცია. ერთის მხრივ ეს არის პიროვნების უფლების, ხოლო მეორეს მხრივ საზოგადოების უფლების დარღვევა.

ამრიგად, შრომის უფლება ძირითადად შრომის თავისუფლებას, ადამიანებისთვის სამუშაოდ თავისუფალი გარემოს შექმნას, სამუშაოზე მიღებისას ჯანსაღ კონკურენციას და სამართლიანობის მსგავს მრავალ საკითხს მოიცავს.

II- უფლებების გამოყენება და შეზღუდვა

ისლამის მიხედვით უფლებების აბსოლუტურად გამოყენება არ არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლებების გამოყენებისას გარკვეული შეზღუდვების დაწესება გარდაუვალია. საზოგადოებაში, ძლიერების გვერდით სუსტების თანასწორუფლებიანობის საჭიროება, უფლებების აბსოლუტურად გამოყენების წინააღმდეგ ერთ-ერთი დაბრკოლებაა. გამომდინარე აქედან, უფლებების გამოყენება სამართლიანობის და სოციალური მიზნების შესაბამისად უნდა მოხდეს.

ისლამის მიხედვით უფლება არ გახლავთ თვითმიზანი. უფლება მიზნის განხორციე-

ლებისთვის დადგენილი ღვთიური წყალობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლებების გამოყენება უფლების მომნიჭებლის მიერ დადგენილ ფარგლებში უნდა განხორციელდეს. მაგალითად, ადამიანს უფლება აქვს საკუთარი ფული სურვილისამებრ დახარჯოს, მაგრამ აქ არის შეზღუდვები. მას უფლება არ აქვს ისეთ საქმეში გამოიყენოს, რაც სარწმუნოებით აკრძალულია. ასე რომ ეს უფლება აბსოლუტური არ არის. ამ შემთხვევაში ფულის ხარჯვის უფლებას ზღუდავს გარკვეული კანონი. უფრო თუ დავაკონკრეტებთ, პიროვნებას უფლება აქვს საკუთარი ფული ხარჯოს, მაგრამ უფლება არ აქვს ეს ფული ყუმარში წააგოს ან უყაირათოდ გაანიავოს. ყუმარი და ფულის უყაირათოდ განიავება ისლამის მიხედვით არალეგიტიმური ქმედებებია. გარდა ამისა, ადამიანის ქონების ხარჯვის აბსოლუტურ უფლებას ზღუდავს ზექათის ვალდებულებაც.

უფლებების ბოროტად გამოყენების ალბათობაც უფლებების შეზღუდვის საჭიროებას განაპირობებს. ერთის უფლების გამოყენებით მეორის უფლება არ უნდა ირღვეოდეს. წმ. შუამავალი ბრძანებდა: „არ მიაყენოთ ზიანი. არ მიაყენოთ ზიანი ზიანის წილ.“

ეს ჰადისი, ზოგადად, ზიანის მომტან ნებისმიერ ქცევას კრძალავს. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება გასაგებია, მაგრამ

ამან სხვები არ უნდა შეურაცხყოს და არ უნდა შეაწუხოს. ასევე არ უნდა გამოიწვიოს ადამიანების დანაშაულიკენ წაქეზება და არეულობის პროვიცირება.

და ბოლოს,

ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა ადამიანს თაყვანი ეცა მისთვის და ამასთანავე დააკისრა ვალდებულებები. ადამიანმა ეს ვალდებულებები ყველაზე იდეალურად რომ შეასრულოს, გარკვეული უფლებებით აღჭურვა სჭირდება. ადამიანზე მინიჭებულმა უფლებებმა, მისი, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა უნდა უზრუნველყოს. თუ ადამიანი სულიერად და ფიზიკურად თავისუფალი და დაცული არ იქნება, მისგან ამქვეყნიური ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება შეუძლებელი იქნება. ამ უფლებებს დღეს ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები ეწოდება.

ძირითადი უფლებების თვალსაზრისით ყველა ადამიანის თანასწორობის მიუხედავად მსოფლიო ისტორია სავსეა ამ უფლებების უხეში დარღვევის მაგალითებით და ეს რეალობა დღესაც აქტუალურია. უფრო მეტიც, დღეს ეს ტენდენციები უფრო განსხვავებულ მაშტაბებს მოიცავს და პო-

ლიტიკური და ეკონომიკური მოტივებით უგულებელყოფილია არათუ ადამიანთა და ცხოველთა უფლებები, არამედ მომავალი თაობის უფლებებიც „იპოთეკის“ ქვეშაა. სწორედ ამიტომ, დღეს უფრო გვჭირდება ღირებულებები, რომლებიც ამოსავალ წერტილად ადამიანს აიღებენ. ისეთი ღირებულებები, როცა განსხვავებული მტრად კი არა, სიმდიდრედ აღიქმება. ადამიანთა ურთერთობები სანდოობასა და სამართლიანობაზე უნდა იყოს დამყარებული.



დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის უფლების დარღვევა საკმაოდ ხშირია. რეალობის გათვალისწინებით უფრო და უფრო საჭირო ხდება დედამიწაზე დამკვიდრდეს

სამართლიანობის და კანონიერების ისეთი ცოდნა, რომელსაც წმ. შუამავალი გვასწავლის.

მაშინ, როდესაც კაცობრიობა აბსოლუტური უმეცრების, ბოროტების და უიმედობის მორევში ცურავდა, ისლამის მოვლინებით კაცობრიობა ხელახლა გამოცოცხლდა. ეს იმიტომ, რომ ღვთიური გზავნილის საფუძველში ყოველთვის ადამიანი, მისი ბედნიერება და ადამიანისადმი პატივისცემა იყო. ამ ღირებულებების მთავარი ელემენტები სამართლიანობის პატივისცემა, ურთიერთსიყვარული, ღვთისმსახურება, შემწყნარებლობა და ზნეობრიობაა.

უკვე ეჭვი აღარ არსებობს, რომ კაცობრიობა სასურველ სიმშვიდესა ბედნიერებას მხოლოდ და მხოლოდ ისლამის უნივერსალური გზავნილების გათვალისწინებით მიღწევს.

ღმერთი ყურანში ბრძანებს:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ . და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის და უეჭველად, მასთან იქნებით შეკრებილნი !“

(ენფალ 24)

აიათში ნათლად არის მითითებული, რომ ღვთიური გზავნილები სიცოცხლეს გვანიჭებს. ამ თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია წმ. შუამავალის სიტყვები:

„ადამიანებო, თქვენი სისხლი, ქონება და ნამუსი ხელშეუხებელია, დაცულია.“

ამ ჰადისით ჩანს, რომ ადამიანის სული, ქონება და ნამუსი წმინდაა და ის ხელშეუხებელია. ეს გზავნილი შუამავალმა მთელ კაცობრიობას ამცნო.

გარდა იმ ძირითადი უფლებებისა, (სიცოცხლის, საკუთრების, რელიგიის, გამოსატვის და სხვ.) ადამიანს უფლება აქვს განათლების მიღებისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მსგავსი სიკეთეებით თანაბრად ისარგებლოს. ამგვარი გარემო და ხედვა ყველა სადად მოაზროვნე ადამიანის საერთო მოლოდინია.

გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოლერანტობისა და დიალოგის გარემოს, რომელიც გულისხმობს მიმტკვევლობას, გაგებას, ურთიერთდახმარებას და სხვა მსგავს ფაქტორებს და ეს ყველაფერი მოგვცემს საიმისო საშუალებას, რომ თავი დავიცვათ ადამიანის ღირსებისათვის შეუფერებელი, შეუწყნარებელი და ხიფათით აღსავსე ცხოვრებისგან.

ამ თვალსაზრისით ყოველი ადამიანი სულ მცირე იმ დოზით მაინც უნდა ფიქრობდეს სხვის უფლებებზე, როგორც საკუთარზე. არამარტო ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა უფლებების დაცვათ უნდა იქნას გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი. არც ერთ სულიერს არ უნდა მივაყენოთ ტკივილი და არ უნდა გავაწვალოთ. სწორედ ესაა მუსლიმი, ადამიანი, რომლის ენისგან და არც ხელისგან, საფრთხე არავის ემუქრება.

„ვისაც მეზობელი მშიერი ყავს და თვითონ მაძღარი იძინებს, ჩვენიანი არ არის“

„რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებთ თუ იგივე მორწმუნე ძმასაც არ უსურვებთ, მორწმუნედ არ ჩაითვლებით. „

„ყველა ის საქმე, რომლის კეთებისას გულის მოუსვენრობას გრძნობს, ცოდვაა“.

ეს და სხვა მრავალი ჰადისი ნათლად მეტყველებს, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა შუამავალი ადამიანის შინაგანი სინდისის საზომებს და როგორი საჭიროა ადამიანის ქცევების გაწროვნა. ჩვენ, შუამავლის მიმდევრები ვართ. ამიტომ, განსხვავებით ეროვნების, რასის, აღმსარებლობის, სქესის, მდგომარეობისა და სხვა ნებისმიერი მსგავსი ფაქტორისა, ყველას ძირითადი უფლება უნდა დავიცვათ. ჩვენ უნდა ვთხოვოთ

სამყაროს შემოქმედს, რომ შეგვაძლებინოს ამ უფლებების დაცვა და ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა, სადაც ერთეულების სინდისი ხმა უნივერსალურად მგრძნობიარე ერთ სინდისად გადაიქცევა და ქვეყანაზე ჯანსაღი აზროვნება და სამართლიანობა დამკვიდრდება.

მთელ ქვეყანაზე სამართლიანობის დამკვიდრების, ადამიანის უფლებების მეტი პატივისცემის, სიყვარულის და ბედნიერად ცხოვრების სურვილებით...

